


№11 / 2009წ / ყოველთვიური ჩანართი

# აჭარის მუნიცი პალიტეტების 2009 წლის ბიუჯეტების ანალიზი

დასაწყისი ჩანართის წინა ნომერში

**დიაგრამა №1**




**სხვა ხარჯები ბიუჯეტში გადანაწილებულია შემდეგნაირად:**

თავდაცვა - 93 870 ლარი (2008 წელს 82 190 ლარი);

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 120 000 ლარი, რაშიც იგულისხმება პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა - 30 000 ლარი (2008 წელს 30 000 ლარი), ასევე სახანძრო სამსახური - 90 000 ლარი (2008 წელი 84 011 ლარი);

ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველყოფა - 64 965 ლარი (2008 წელს 932 011 ლარი);

გარემოს დაცვა - 421 000 ლარი (2008 წელს 617 005 ლარი);

საბინაო კომუნალური მეურნეობა - 1 613 540 ლარი (2008 წელს 2 991 239 ლარი);

ჯამრთელობის დაცვა - 67 795 ლარი (2008 წელს 108 581 ლარი);

დასვენება, კულტურა და რელიგია - 421 745 ლარი (2008 წელს 2 916 086 ლარი);

განათლება - 1 082 335 ლარი (2008 წელს 1 634 459 ლარი);

სოციალური დაცვა - 115 400 ლარი (2008 წელს 189 800 ლარი).

თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2008-2009 წლების ბიუჯეტების გადასახდელების შედარებას დიაგრამის სახით:

**დიაგრამა №2**




ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯი შეადგენს 378 475 ლარს (2008 წელს 347 473 ლარს), მათ შორის 19 მომუშავისათვის შრომის ანაზღაურება შეადგენს 234 735 ლარს, ანუ 100 742 ლარით გაიზარდა წინა წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯი – 1 120 265 ლარს შეადგენს (2008 წელს 1 085 827 ლარს), რაშიც იგულისხმება გამგეობის თანამშრომლების და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების ხარჯები, მათ შორის 154 მომუშავისათვის შრომის ანაზღაურება შეადგენს 820 495 ლარს, ანუ თითქმის 227 122 ლარითაა გაზრდილი წინა წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით.

ტერიტორიული ორგანოებისათვის გამოყოფილია 493 645 ლარი. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში 13 ტერიტორიული ერთეულია, რომლებისთვისაც ყოველთვიურად გამოყოფილია საშუალოდ შემდეგი ხარჯები:

შრომის ანაზღაურება – 2 714 ლარი;

ოფისის ხარჯები – 350 ლარი;

ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები – 100 ლარი.

ტერიტორიული ერთეულებისათვის გამოყოფილი შრომის ანაზღაურება ნაწილდება 101 მოსამსახურეზე, ანუ თითოეულ თემში საშუალოდ 8 თანამშრომელი მუშაობს, რაც საშუალოდ თითოეულ თანამშრომელზე თვეში შეადგენს 349,4 ლარს. რა თქმა უნდა ეს მაჩვენებლები განსხვავდება თემების მიხედვით, მათი სიდიდის და იქ მომუშავე მოსამსახურეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

თვალსაჩინოებისთვის დიაგრამის სახით წარმოგიდგენთ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის 2008-2009 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებების შედარებას მხარჯავი დაწესებულებებისა და ღონისძიებების მიხედვით.

**დიაგრამა №3**




## ხულოს მუნიციპალიტეტის 2009 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ანალიზი

ხულოს 2008-2009 წლის ბიუჯეტების შედარებისას ჩანს, რომ ბიუჯეტი მნიშვნელოვნად (853 405 ლარით) არის შემცირებული და 3 238 800 ლარს შეადგენს. ხულოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებში ფინანსური დახმარების წილი შეადგენს 93 %-ს, ხოლო გადასახადებიდან შემოსავალი კი 7 %-ს (იხ. დიაგრამა №1).

**დიაგრამა №1**




ხულოს გამგეობის მიერ მოწოდებული 2009 წლის ბიუჯეტის გეგმის მიხედვით ხულოს მუნიციპალიტეტის გადასახდელებმა 3 238 800 ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ბიუჯეტის გეგმის თითქმის 80 პროცენტს შეადგენს (2008 წელს 4 092 205 ლარს შეადგენდა). საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე გასაწევმა ხარჯებმა 1 412 790 ლარი შეადგინა, რაშიც ძირითადად იგულისხმება ხარჯები აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფისათვის, ხოლო ეს ხარჯი 2008 წელს 979 945 ლარს შეადგენდა. საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაზე გასაწევი ხარჯების გეგმა მთლიანი ბიუჯეტის 43,6 პროცენტს შეადგენს (2008 წელს 23,9 პროცენტი იყო). უნდა აღინიშნოს, რომ 2009 წლის ბიუჯეტში შრომის ანაზღაურების ხარჯების გეგმა 366 325 ლარით, ანუ 50,38 %-ით მეტია წინა წლის ხარჯებთან შედარებით და შეადგენს 1 093 380 ლარს.

სხვა ხარჯები ბიუჯეტში გადანაწილებულია შემდეგნაირად:

თავდაცვა - 86 680 ლარი (2008 წელს 63 095 ლარი);

საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 186 900 ლარი, რაშიც იგულისხმება პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა - 10 000 ლარი (2008 წელს 11 750 ლარი), ასევე სახანძრო სამსახური - 176 900 ლარი (2008 წელი 208 430 ლარი);

ეკონომიკური საქმიანობის უზრუნველყოფა - 85 160 ლარი (2008 წელს 461 280 ლარი);

გარემოს დაცვა - 125 000 ლარი (2008 წელს 73 500 ლარი);

საბინაო კომუნალური მეურნეობა - 254 160 ლარი (2008 წელს 548 280 ლარი);

ჯამრთელობის დაცვა - 148 660 ლარი (2008 წელს 138 730 ლარი);

დასვენება, კულტურა და რელიგია - 563 020 ლარი (2008 წელს 1 119 910 ლარი);

განათლება - 252 130 ლარი (2008 წელს 308 285 ლარი);

სოციალური დაცვა - 124 300 ლარი (2008 წელს 179 000 ლარი).

თვალსაჩინოებისათვის წარმოგიდგენთ ხულოს მუნიციპალიტეტის 2008-2009 წლების ბიუჯეტების გადასახდელების შედარებას დიაგრამის სახით:

**დიაგრამა №2**



ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხარჯი შეადგენს 289 500 ლარს (2008 წელს 268 115 ლარს), მათ შორის 16 მომუშავისათვის შრომის ანაზღაურება შეადგენს 194 250 ლარს, ანუ 50 150 ლარით გაიზარდა წინა წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო მუნიციპალიტეტის გამგეობის ხარჯი — 996 160 ლარს შეადგენს (2008 წელს 752 770 ლარს), რაშიც იგულისხმება გამგეობის თანამშრომლების და ტერიტორიული ორგანოების თანამშრომლების ხარჯები, მათ შორის 134 მომუშავისათვის შრომის ანაზღაურება შეადგენს 689 070 ლარს, ანუ წინა წლის გეგმიურ მაჩვენებელთან შედარებით თითქმის 236 630 ლარითაა გაზრდილი.

ტერიტორიული ორგანოებისათვის გამოყოფილია 475 290 ლარი. ხულოს მუნიციპალიტეტში 13 ტერიტორიული ერთეულია, რომლებისთვისაც ყოველთვიურად გამოყოფილია საშუალოდ შემდეგი ხარჯები:

შრომის ანაზღაურება – 2 567 ლარი;

მივლინებები — 13 ლარი;

ოფისის ხარჯები — 367 ლარი;

ტრანსპორტისა და ტექნიკის აქსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები — 100 ლარი.

ტერიტორიული ერთეულებისათვის გამოყოფილი შრომის ანაზღაურება ნაწილდება 95 მოსამსახურეზე, ანუ თითოეულ თემში საშუალოდ 7 თანამშრომელი მუშაობს, რაც საშუალოდ შეადგენს 351,2 ლარს თითოეულ თანამშრომელზე თვეში. რა თქმა უნდა ეს მაჩვენებლები განსხვავდება თემების მიხედვით მათი სიდიდის და იქ მომუშავე მოსამსახურეთა რაოდენობის გათვალისწინებით.

თვალსაჩინოებისთვის დიაგრამის სახით წარმოგიდგენთ ხულოს მუნიციპალიტეტის 2008-2009 წლების ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებების შედარებას მხარჯავი დაწესებულებებისა და ღონისძიებების მიხედვით.

**დიაგრამა №3**




*ალსანიშნავია ისიც, რომ მუნიციპალიტეტების 2009 წლის ბიუჯეტებს არ აქვს მიზნობრივი ხასიათი, ანუ ხარჯების უმრავლესობა არ არის ჩამოყალიბებული მიზნობრივი პროგამების სახით. ბიუჯეტი აუცილებლად უნდა შეიცავდეს მიზნობრივ პროგრამებს და უნდა ითვალისწინებდეს ყველა იმ ღონისძიებას, რომელთა განხორციელება გათვალისწინებულია აღნიშნული წლის ბიუჯეტში ხარჯების სახით. მაგალითად, გზების რეაბილიტაცია, გამწვანება, წყალმომარაგება, სოციალურის დაცვის ღონისძიებები და სხვა საჭიროა ჩამოყალიბდეს მიზნობრივი პროგრამების სახით. მიზნობრივი პროგრამები გამგეობას საშუალებას აძლევს უფრო ზუსტად განსაზღვროს ბიუჯეტის ხარჯები, რომელიც გამოყოფილია სხვადასხვა პრობლემების მოსაგვარებლად და უფრო ეფექტურად განახორციელოს მონიტორინგი გამოყოფილ თანხებზე.*

*მართალია 2009 წლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტები შემცირდა, მაგრამ საგრძნობლად გაიზარდა თვითმმართველი ორგანოების ხარჯები, ხოლო საზოგადოებრივი საქმიანობებისთვის ბიუჯეტში ასახული თანხები არ ემთხვევა მოსახლეობიდან წამოსული ინიციატივებს, ანუ ბიუჯეტის დამტკიცევისას არ არის გათვალისწინებული მოსახლეობის მხრიდან წამოსული ინტერესები. მართალია 2009 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია რამოდენიმე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის მოგვარება (სანიტარული დასუფთავება, გამწვანება, გარეგანათება და სხვა), მაგრამ ადგილობრივი თემების მოსახლეობისთვის ეს პრობლემები ნაკლებად ეფექტურია. ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც მოსახლეობის კეთილდღეობაზე იქნება ორიენტირებული კარგია, მაგრამ მოსახლეობის აქვს სხვა, უფრო მნიშვნელოვანი და სასწრაფოდ მოსაგვარებელი პრობლემები, რომელთა მოგვარებაც, ამ ეტაპზე, უფრო ლოგიკური იქნებოდა. ამ დასკვნის საშუალებას გვაძლევს 2007-2008 წლების განმავლობაში ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ ,,ინტელექტის'' მიერ განხორციელებული საბიუჯეტო კვლევები თემებში, რომელიც აჭარის რეგიონის ხუთ მუნიციპალიტეტის 63 თემში ჩატარდა, სადაც გამოვლინდა შემდეგი პირველი რიგის პრობლემები:*

## ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი

| თემი | მიზნობრივი პროგრამის დასახელება | პროგრამის ბიუჯეტი |
|---|---|---|
| დაბა ხელვაჩაური | დაბა ხელვაჩაურში კანალიზაციის სისტემის რეაბილიტაცია | 2 384 580,00 |
| კახაბერი | კახაბრის თემში მდინარე მეჯინისწყლის გაწმენდა | 595 908,00 |
| გონიო | გონიოს თემის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია | 546 217,00 |
| მახინჯაური | მახინჯაურის თემში შიდა გზების რეაბილიტაცია | 426 893,00 |
| თხილნარი | თხილნარის თემის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია | 355 233,00 |
| ურეხი | ურეხის თემში შიდა გზების რეაბილიტაცია | 326 838,00 |
| შარაბიძეები | შარაბიძეების თემში წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია | 289 157,00 |
| სარფი | სარფის თემის შიდა გზების რეაბილიტაცია | 180 929,00 |
| ახალშენი | ახალშენის თემის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია | 158 510,00 |
| ორთაბათუმი | ორთაბათუმის თემის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია | 131 845,00 |
| კირნათი | სოფელ კირნათის და მარადიდის მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა | 80 000,00 |
| აჭარისწყალი | აჭარისწყლის თემის კულტურის სახლის რეაბილიტაცია | 76 122,00 |
| მაჭახელა | მაჭახლის თემის მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა | 40 000,00 |

## ქედის მუნიციპალიტეტი

| თემი | მიზნობრივი პროგრამის დასახელება | პროგრამის ბიუჯეტი |
|---|---|---|
| დანდალო | დანდალოს თემში სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია | 396 202,00 |
| დაბა ქედა | დაბა ქედის შიდა გზების რეაბილიტაცია | 342 795,00 |
| პირველი მაისი | პირველი მაისის თემში შიდა გზების რეაბილიტაცია | 292 735,00 |
| წონიარისი | წონიარისის თემის შიდა გზების რეაბილიტაცია | 226 793,00 |
| ზვარე | ზვარეს თემში ადმინისტრაციული შენობის აშენება | 149 886,00 |
| მერისი | მერისის თემში კულტურის სახლის რეაბილიტაცია | 96 647,00 |
| მახუნცეთი | მახუნცეთის თემში ბაგა-ბაღის მშენებლობა | 78 469,00 |
| ოქტომბერი | ოქტომბრის თემის სოფელ კუჭულაში სარწყავი სისტემის მოწესრიგება | 64 975,00 |
| ცხმორისი | ცხმორისის თემში მდინარე სურნალზე ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულება | 35 250,00 |

## შუახევის მუნიციპალიტეტი

| თემი | მიზნობრივი პროგრამის დასახელება | პროგრამის ბიუჯეტი |
|---|---|---|
| ზამლეთი | ზამლეთის თემის შიდა გზების რეაბილიტაცია | 574 182,00 |
| დაბა შუახევი | დაბა შუახევის თემის სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 298 943,29 |
| ჭვანა | ჭვანის თემში ბოჯინარის ხიდის აგება | 52 054,25 |
| დღვანი | დღვანის თემის მოსახლეობის ტრაქტორით უზრუნველყოფა | 45 000,00 |
| ოლადაური | ოლადაურის თემის მოსახლეობის ტრაქტორით უზრუნველყოფა | 45 000,00 |
| წყალსაყარი | წყალსაყარის თემის მოსახლეობის ტრაქტორით უზრუნველყოფა | 45 000,00 |
| ბარათაული | ბარათაულის თემის მოსახლეობის ავტობუსით უზრუნველყოფა | 44 000,00 |
| უჩამბა | უჩამბის თემის მოსახლეობის ავტობუსით უზრუნველყოფა | 44 000,00 |
| შუბანი | შუბანის თემის მოსახლეობის ავტობუსით უზრუნველყოფა | 44 000,00 |

| თემი | მიზნობრივი პროგრამის დასახელება | პროგრამის ბიუჯეტი |
|---|---|---|
| დიოკნისი | დიოკნისის თემის სავარგულებზე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | 1 249 671,00 |
| რიყეთი | რიყეთის თემში შიდა გზების რეაბილიტაცია | 828 412,00 |
| დაბა ხულო | დაბა ხულოს შიდა გზების რეაბილიტაცია | 825 169,14 |
| ფუშრუკაული | ფუშრუკაულის თემის მთაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია | 808 762,00 |
| დეკანაშვილები | დეკანაშვილების თემში შიდა გზების რეაბილიტაცია | 743 300,00 |
| ხიხაძირი | ხიხაძირის თემში შიდა გზების რეაბილიტაცია | 625 067,00 |
| ვაშლოვანი | ვაშლოვანის თემში შიდა გზების რეაბილიტაცია | 595 827,00 |
| სხალთა | სხალთის თემში სპორტული კომპლექსის აშენება | 445 073,30 |
| ღორჯომი | ღორჯომის თემის მდ. ჯამისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულების პროგრამა | 424 963,00 |
| აგარა | აგარის თემში კულტურის სახლის აშენება | 151 878,00 |
| დიდაჭარა | დიდაჭარის თემში სარწყავი არხის რეაბილიტაცია | 149 656,00 |
| საციხური | საციხურის თემში ამბულატორიის აშენება | 115 052,30 |
| თხილვანა | თხილვანის თემის მოსახლეობის ტრაქტორით უზრუნველყოფა | 45 000,00 |

## ქობულეთის მუნიციპალიტეტი

| თემი | მიზნობრივი პროგრამის დასახელება | პროგრამის ბიუჯეტი |
|---|---|---|
| ლელვა | ლელვას თემში გზის რეაბილიტაცია | 2 413 943,40 |
| დაგვა | დაგვას თემში გზის რეაბილიტაცია | 1 463 588,60 |
| გვარა | გვარას თემში გზის რეაბილიტაცია | 1 333 675,40 |
| ქაქუთი | ქაქუთის თემში გზის რეაბილიტაცია | 1 014 224,30 |
| სოფ.ქობულეთი | სოფ. ქობულეთის თემში გზის რეაბილიტაცია | 965 137,00 |
| დაბა ჩაქვი | დაბა ჩაქვში სოფ. სახალვაშოს გზის რეაბილიტაცია | 959 900,00 |
| ციხისძირი | ციხისძირის თემში გზის რეაბილიტაცია | 834 130,90 |
| საჩინო | საჩინოს თემში წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 712 262,10 |
| ხუცუბანი | ხუცუბნის თემში სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 676 416,21 |
| ოჩხამური | ოჩხამურის თემში გზის რეაბილიტაცია | 623 309,16 |
| ბობოყვათი | ბობოყვათის თემში კულტურის სახლის რეაბილიტაცია | 447 218,00 |
| ზენითი | ზენითის თემში გზის რეაბილიტაცია | 398 552,00 |
| ალამბარი | ალამბრის თემში გზის რეაბილიტაცია | 349 388,30 |
| მუხაესტატე | მუხაესტატეს თემში გზის რეაბილიტაცია | 245 318,80 |
| ჭახათი | ჭახათის თემში გზის რეაბილიტაცია | 93 367,80 |
| ჩაისუბანი | ჩაისუბნის თემში მდ. ჩაქვისწყალზე ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულების პროგრამა | 89 536,40 |
| კვირიკე | კვირიკეს თემში წყლის სისტემის რეაბილიტაცია | 51 442,60 |
| ხალა | ხალას თემში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია | 44 334,00 |
| აჭყვისთავი | აჭყვისთავის თემის მოსახლეობის ტრანსპორტით უზრუნველყოფა | 44 000,00 |

**ექსპერტები ეკონომიკურ საკითხებში:**
**მიხეილ ანანიძე, ირაკლი კახაძე**

**საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.**

**საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“**

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი: გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი „თემთა ინიციატივა“
მისამართი: ბათუმი, რუსთაველის გამზ. №25
ტელ.: 77415, ფაქსი: 77126
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge